ოქმი:**ო37. 37262998**
თარიღი:**26/10/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მიხეილ ცქვიტიშვილის ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი,19 ოქტომბერი
სოფ. ნაგომარი
15:00 16:00 - საათი

თავმჯდომარეობდა:დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. რომ მ. ცქვიტიშვილი არის ერთ-ერთი საუკეთესო საკრებულოს წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციაში მუშაობას, მუდმივად ინტერესდება ამომრჩევლების, სოფლის წინაშე მდგომი პრობლემებით, დროულად ცდილობს მათ გადაწყვეტას.

საკრებულოს წევრმა მ. ცქვიტიშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე, სოფლებში განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე.

ამომრჩეველმა მზია შავდიამ ითხოვა შუამდგომლობა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ნაგომრის კულტურის სახლისა და საჯარო სკოლის შენობების რეაბილიტაციის დაჩქარებისათვის. ასევე დააყენეს სოფლის ერი უბნის წყალმომარაგების საკითხი.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებელად, იგი პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში. ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

